



## **ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი**

**მიზანი 4.2**

## **მიზანი 4.2. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე (მოწყვლადი) ბრალდებულების/მსჯავრდებულების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში**

მიზნის შესრულების პროგრესი: 65.6%

წინამდებარე გეგმის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე (მოწყვლადი) პატიმრების კატეგორია, ამ გეგმის თვალსაზრისით, საკმაოდ დავიწროებულია და არ მოიაზრებს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს, ასევე, ლგბტ ადამიანებს და ზოგადად, ყველა იმ პირს, რომლებიც, საქართველოს ციხეებში კრიმინალური სუბკულტურისა და არაფორმალური მმართველობის გაძლიერების ფონზე, ყოველდღიური ჩაგვრისა და დისკრიმინაციის სამიზნეები არიან.

აუცილებლად მიგვაჩნია, მომავალში, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე და მოწყვლადი პატიმრების საკითხზე მუშაობისას, პენიტენციური სისტემის მესვეურებმა ყურადღება გაამახვილონ კრიმინალური სუბკულტურის კონტექსტში „დაბალ საფეხურად“ მოაზრებული ადამიანების მდგომარეობაზე და კონკრეტული სტრატეგია შეიმუშაონ ამ პრობლემის აღმოფხვრის ან განეიტრალებისთვის. აღნიშნული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება არასათანადო მოპყრობის პრევენციის თვალსაზრისითაც.

აღნიშნული მიმართულებით პირველ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით<sup>[1]</sup> გათვალისწინებული აქტივობა - C 2.1. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა შორის ძალადობასთან გამკლავების მექანიზმის გაუმჯობესება, თუმცა ამ აქტივობის სათანადოდ განსახორციელებლად, ისევე, როგორც პენიტენციურ დაწესებულებებში ჩადენილ დანაშაულთან/ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებისთვის (აქტივობა C2.3), პირველ რიგში, აღნიშნული დანაშაულების და უფრო ზოგადად, პატიმრებს შორის ძალადობის გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული შესწავლა და მათი აღმოფხვრის ეფექტიანი გზების დანერგვა არის საჭირო, რაც არცერთი სამოქმედო გეგმით არ მოიაზრება.

---

<sup>[1]</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის ბრძანება N385 “პენიტენციურის და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე;

### **ამოცანა 4.2.1. პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მსჯავრდებულთა მიდგომის თავისებურებებზე, თანასწორობისა და შემწყნარებლობის საკითხებზე**

ამოცანის შესრულების პროგრესი: 76.25%

**ინდიკატორი:**

ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;

გადამზადებულ თანამშრომელთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

**შეფასება:**

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice აქტიური მხარდაჭერით, საანგარიშო პერიოდში, განახლდა და დაინერგა თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგია პენიტენციური სისტემის სოციალურ-სამართლებრივ და ფსიქოლოგიისთვის, ჩატარდა ტრენინგები ტრენინგებზე (იხ. ამოცანა 4.3.1). სასწავლო პროგრამები მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა გენდერული თანასწორობა, მოწყვლად მსჯავრდებულებთან ურთიერთობის საკითხები და ა.შ.

ევროკავშირის პროექტის ხელშეწყობით პრობაციის სისტემის ყველა თანამშრომელი და პენიტენციური სისტემის N2, N5, N8, N16 და N17 დაწესებულებების რეჟიმის თანამშრომლები (როგორც მულტიდისციპლინური გუნდის წევრები) გადამზადდნენ რისკებისა და საჭიროებების შეფასების განახლებულ მეთოდოლოგიაში.

სამწუხაროა, რომ პროგრესს გარკვეულწილად ანელებს გადამზადებული კადრების გადინების პრობლემა და ზოგადად, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მიმართულებით მომუშავე კადრების ნაკლებობა პენიტენციურ სისტემაში. შესაბამისი საკადრო უზრუნველყოფისა და სტაბილურობის პირობებში, განახლებული სასწავლო პროგრამები და რეგულარული ტრენინგები სასურველი შედეგის მიღწევის ეფექტიანი საშუალება გახდება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ 2019 წელს დამტკიცებული პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობის - G2.2 თანამშრომლების აყვანის, შენარჩუნების და თანამშრომლების ჩართულობის/მოტივაციის სტრატეგიის განვითარება - შედეგიანად განხორციელება<sup>[1]</sup>.

<sup>[1]</sup> – პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2019 წლის დეკემბრისთვის უკვე უნდა ფუნქციონირებდეს თანამშრომელთა აყვანის ახალი სისტემა

### **აქტივობა 4.2.1.1. სასწავლო პროგრამების გადახედვა და საჭიროებისამებრ განახლება**

**პასუხისმგებელი უწყება:**

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

**ინდიკატორი:**

ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;

გადამზადებულ თანამშრომელთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ძალისხმევით, საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ადამიანის უფლებებსა და მონაცემადი მსჯავრდებულების მართვაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესი. აღნიშნულ პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე ევროპელი ექსპერტები, რაც განახლებული პროგრამების მაღალი ხარისხის გარანტია უნდა იყოს.

ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, 2019 წელს საჭიროებისამებრ განხორციელდა ყველა მოქმედი სასწავლო პროგრამის გადახედვა/განახლება და მომზადდა ახალი სასწავლო პროგრამა - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან და პატიმრების სხვა განსაკუთრებულ კატეგორიებთან მოპყრობის თავისებურებები“, რომელთა მიხედვითაც განხორციელდა ტრენინგთა ტრენინგი და ტრენინგები პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის. სულ ტრენინგი გაიარა 31 თანამშრომელმა.<sup>[1]</sup>

იმედს ვიტოვებთ, რომ განახლებული პროგრამების შინაარსი მომავალში საჭაროდ ხელმისაწვდომი გახდება, რაც მათი სიღრმისეული შეფასების საშუალებას მოგვცემს.

<sup>[1]</sup> გვ.44

## აქტივობა 4.2.1.2. სასჯელაღსრულების სისტემის იმ თანამშრომელთა გადამზადება რომლებსაც შეხება აქვთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბრალდებულ/მსჯავრდებულებთან;

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;

გადამზადებულ თანამშრომელთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

არასამთავრობო ორგანიზაციის „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ მიერ 2018 წელს მომზადებული კვლევის „პენიტენციური სისტემის პერსონალი“ მონაცემებით, 2018 წლის ივნისის მდგომარეობით, პენიტენციური სისტემის 14 თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგთა ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან და პატიმრების სხვა განსაკუთრებულ კატეგორიებთან მოპყრობის თავისებურებებზე; 60 თანამშრომელი გადამზადდა შშმ პირებთან და პატიმრების სხვა განსაკუთრებულ კატეგორიებთან მოპყრობის თავისებურებებში.

პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ხელშეწყობით, 2018 წელს და 2019 წლის პირველ ნახევარში გადამზადდნენ პენიტენციური სისტემის უფროსი მენეჯერები. კურსი, სხვა თემების პარალელურად, მოიცავდა მოწყვლადი ჯგუფების უფლებების თემატიკასაც.

ინფორმაცია იმის თაობაზე, რამდენი თანამშრომელი გადამზადდა 2018 წლის მეორე ნახევარში აღნიშნულ თემატიკაზე, არსად მოიპოვება, ზემოაღნიშნული მონაცემები კი გვაჩვენებს, რომ აღნიშნული საქმიანობის შესრულების ხარისხი, გადამზადებული თანამშრომლების მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, არაადასტურებულია.

ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს და სპეციალური პენიტენციური სამსახურის ბაზაზე, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით და ორგანიზაცია „ძდექთან“ თანამშრომლობით:

· შეიქმნა „ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სექსუალური ძალადობის“ იდენტიფიცირების კითხვარი მსჯავრდებული ქალების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნულ თემატიკაზე გადამზადდა 15 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი;

შეიქმნა სარეაბილიტაციო პროგრამა „ქალ-გა“ ქალი მსჯავრდებულებისათვის, რომლის მიზანია, ქალების რეაბილიტაცია და გაძლიერება იმისთვის, რომ ხელი შეეწყოს გათავისუფლების შემდეგ საზოგადოებაში რეინტეგრაციას და მათ მიმართ შესაძლო ძალადობის განხორციელების პრევენციას. აღნიშნულ თემატიკაზე გადამზადდა 15 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი.

## **აქტივობა 4.2.1.3. არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საჭიროებებზე, საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით შესაბამისი სასწავლო პროგრამებისა და მასალების**

# განახლება და გაუმჯობესება საჭიროებისამებრ

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;

გადამზადებულ თანამსრომელთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

სტატუსი: სრულად შესრულებულია აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01 ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2016-2017 წლებისთვის მონიტორინგის ფარგლებში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის 2017 წლის 3 ოქტომბრის MOC 9 17 00772750 წერილობითი პასუხის თანახმად, 2015 წელს გაეროს ბავშვთა ფონდსა (UNICEF) და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მომზადდა სპეციალიზაციის სასწავლო კურსი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია, არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა“.

სპეციალიზაციის კურსი (24 აკადემიური საათი) მოიცავს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N 668 დადგენილებით განსაზღვრულ შემდეგ სავალდებულო მოდულებს:

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები;

ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები;

ძალადობა ბავშვზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე;

დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა.

იმავე წყაროს თანახმად, 2015-2017 წლებში აღნიშნული კურსით სპეციალიზაცია გაიარა პენიტენციური და პრობაციის სისტემის ყველა იმ თანამშრომელმა, ვისაც სამსახურებრივი შეხება აქვს არასრულწლოვან ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან.

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ინფორმაციით, ამავე პროექტის მხარდაჭერით, 2018 წლის მანძილზე გრძელდებოდა არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მომუშავე თანამშრომელთა გადამზადების პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამების განახლება.

ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო

გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, 2019 წლის ნოემბრის თვეში განხორციელდა პენიტენციური დაწესებულებების, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციარეაბილიტაციის დეპარტამენტის სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა გადამზადება (9 თანამშრომელი). მოდული მოიცავს მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტებს, საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელ კანონმდებლობას, ზოგადი წესების, არასრულწლოვანთა კოდექსის მიზნებისა და პრინციპების, ანტისოციალური ქცევისა და ფსიქოლოგიური ასპექტების მიმოხილვას.<sup>11</sup>

<sup>11</sup> გვ.45-46;

### **აქტივობა 4.2.1.4. არასრულწლოვნებთან მომუშავე პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა მოზადება/კვალიფიკაციის ამაღლება არასრულწლოვანთა მოპყრობის, მათი სპეციფიკური საჭიროებების, ასაკობრივი თავისებურებების შესახებ**

**პასუხისმგებელი უწყება:**

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

**ინდიკატორი:**

ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;

გადამზადებულ თანამშრომელთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2018-01-01

**ბოლო ვადა:** 2020-12-31

### **შეფასება**

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice მხარდაჭერით, რისკებისა და საჭიროებების შეფასებულ განახლებულ მეთოდოლოგიაში გადამზადდნენ პენიტენციური სისტემის, მათ შორის, N11 დაწესებულების მულტიდისციპლინური გუნდები.

არასრულწლოვნებთან მომუშავე სხვა თანამშრომლების გადამზადების თაობაზე სტატისტიკური მონაცემები არ იძებნება.

სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშის თანახმად, 2019 წლის ნოემბერში ტრენინგით „სპეციალიზაცია

<sup>19</sup> ibid.. გვ.46

## აქტივობა 4.2.1.5. გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით შესაბამისი სასწავლო პროგრამების მომზადება და არსებული პროგრამების განახლება და გაუმჯობესება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;

გადამზადებულ თანამშრომელთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2016-2017 წლებისთვის მონიტორინგის ფარგლებში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის 2017 წლის 3 ოქტომბრის MOC 1 17 00773148 წერილით გვეცნობა, რომ 2017 წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა, მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, შეიმუშავა ახალი პირველი და მეორე დონის სასწავლო კურსები სპეციალური პენიტენციური სამსახურის გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამსახურეებისათვის. სასწავლო კურსები, სხვა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებთან ერთად, მოიცავს ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებსაც - ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თანასწორობა და შემწყნარებლობა, გენდერული თანასწორობა, ძალადობის (მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა) აღკვეთა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა; მოწყვლადი ჯგუფები (მათ შორის, ქალები), მათი უფლებები და მათთან მუშაობის სპეციფიკა; სასჯელაღსრულების სისტემაში წამების და სხვა არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის პრევენცია; ეფექტური



კომუნიკაცია; აგრესიის, ძალადობრივი ქცევის მართვა და სხვა.

მოგვიანებით, სამინისტრომ, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, დააზუსტა, რომ აღნიშნული თემატიკა ყოველთვის შედიოდა პენიტენციური მოსამსახურეების მომზადება-გადამზადების სასწავლო პროგრამაში.<sup>[1]</sup>

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის მიერ 2017 წლის ბოლოს ჩატარებული სასწავლო კურსების საჭიროებათა კვლევის საფუძველზე დაიგეგმა 2018 წლის სასწავლო ღონისძიებები; ამასთან, სამუშაო ჯგუფების ფარგლებში დაიწყო ახალი სასწავლო პროგრამების მომზადება და არსებული სასწავლო პროგრამების განახლება.<sup>[2]</sup>

<sup>[1]</sup> დემოკრატიისა და უსაფრთხო განვითარების ინსტიტუტი, “ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი”, 2018 წელი, თავი 4, აქტივობა 4.6.6.1-ის შესრულების შეფასება;

<sup>[2]</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვა, თებერვალი 2019 წელი

## **აქტივობა 4.2.1.6. გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სასწავლო ცენტრში არსებულ ყველა ძირითად სასწავლო პროგრამაში აღნიშნული თემატიკის შეტანა**

### **პასუხისმგებელი უწყება:**

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### **ინდიკატორი:**

ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;

გადამზადებულ თანამსრომელთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2018-01-01

**ბოლო ვადა:** 2020-12-31

## **შეფასება**

იხ. საქმიანობა 4.2.1.5-ის შესრულების შეფასება.

# აქტივობა 4.2.1.7. პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომელთა ტრენინგები ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების, ასევე ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;

გადამზადებულ თანამშრომელთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

როგორც საქმიანობა 4.2.1.5-ის შესრულების შეფასებაში აღინიშნა, იმჟამინდელი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით, ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ტრენინგები წარმოადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა მომზადება-გადამზადების პროგრამების შემადგენელ ნაწილს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice, გაეროს ქალთა ორგანიზაციის - UN Women და არასამთავრობო ორგანიზაცია ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მონაწილეობით შემუშავდა ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოვლენის ინსტრუმენტი, ასევე, ადაპტირებული სარეაბილიტაციო პროგრამა, რომელიც გულისხმობს ჩაღრმავებულ მუშაობას ძალადობის მსხვერპლ ქალებთან. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში გადამზადდნენ პენიტენციური და პრობაციის სისტემის თანამშრომლებიც.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის UN Women ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, “[2018 წლის] 4-8 სექტემბერს, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, პენიტენციურ სისტემაში მომუშავე თერაპევტებისთვის ტრენინგთა ტრენინგი ჩაატარა, რომელიც რეაბილიტაციის პროგრამის კუთხით მათი შესაძლებლობების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად.”

სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, პენიტენციურ სისტემაში დასაქმებული ესკორტის ოფიცრები გადიან სავალდებულო ტრენინგს - ესკორტის ოფიცრების საორიენტაციო კურსს. 2019 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით გადამზადდა ახალი კონკურსის გზით დანიშნული ყველა ესკორტის ოფიცერი (122 თანამშრომელი). საორიენტაციო კურსი

მოიცავს აუცილებელ სამართლებრივ აქტებს, უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, სტრესის მართვის, ეფექტური კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის მიმართულებებს და ფარავს დისკრიმინაციის აკრძალვისა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის თემებს. არსებულ პროგრამებთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მხარდაჭერით პენიტენციური, დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სისტემებისათვის შემუშავდა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირების სკრინინგ ინსტრუმენტი და ჯგუფური სამოტივაციო პროგრამა ქალებისათვის - „ქალგა“.

- 2019 წლის დეკემბერში ტრენინგით „ფასილიტატორების მომზადება ქალთა სამოტივაციო პროგრამა „ქალგას“ მიხედვით გადამზადდა პენიტენციური, პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის სისტემების 15 თანამშრომელი;
- 2017-2019 წლებში პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში შემუშავდა პროგრამა „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი“ - პროგრამის მიზანია პარტნიორზე მოძალადე პირების ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის ამაღლება; ემოციების მართვის და ემპათიის გამომუშავება ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართ; გენდერული როლებისა და ძალადობის გამოყენების შესახებ აზროვნების, რწმენა-შეხედულებების მოდიფიცირება; გენდერული თანასწორობის ცნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. პროგრამის შემუშავების ფარგლებში 2019 წელს მიმდინარეობდა მულტისექტორული სამუშაო შეხვედრები, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ პრობაციის და პენიტენციური სამსახურის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტების ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები. (10-12 სპეციალისტი);
- 2019 წელს თბილისში აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მხარდაჭერით პენიტენციური, პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის თანამშრომლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ აშშ-ში, სადაც გაიარეს ტრენინგით ტრენინგი სექსუალური მოძალადეების ქცევის კორექციის პროგრამის შესახებ (10 მონაწილე);

2019 წელს პოლონურ ფონდთან “Human Doc”-თან პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ გააფორმა მემორანდუმი, რომელიც გულისხმობს თანამშრომლობას ბენეფიციარების ან/და მათი ოჯახის წევრებისათვის ფსიქო-სოციალური მომსახურების გაწევის, ფონდის პარტნიორი ორგანიზაციების პროგრამებსა და პროექტებში ჩართვის მიზნით. აღნიშნულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით 2019 წელს ჩატარდა სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებისთვის ტრენინგი „ოჯახში ძალადობის ჩამდენ იმ პირებთან მუშაობა, რომლებიც ვერ უმკლავდებიან აგრესიას და ვერ აკონტროლებენ სიბრაზეს“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ექვსმა თანამშრომელმა.<sup>[1]</sup>

---

<sup>[1]</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში, 2019 წელი, გვ.49

## **აქტივობა 4.2.1.8. თანამესაკნეთა და სხვა ბრალდებულ/მსჯავრდებულთა შშმ პირთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრებისა და**

# ტრენინგების ჩატარება

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;

გადამზადებულ თანამსრომელთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები  
შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 10%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

ადამიანის უფლებათა სამდივნოს 2018 წლის ანგარიშის თანახმად, „შშმ პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებებთან დაკავშირებით გაიმართა 2 შეხვედრა და მათში მონაწილეობა მიიღო 16-მა მსჯავრდებულმა“.<sup>[1]</sup>

ადამიანის უფლებათა სამდივნოს 2019 წლის ანგარიშის თანახმად, პენიტენციურ სისტემაში დანერგილია ფსიქო-სოციალური ტრენინგი „სტიგმა და დისკრიმინაცია“, რომელსაც დაწესებულებაზე მიმაგრებული სოციალური მუშაკები უტარებენ მსჯავრდებულებს. ტრენინგი ეხება სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. 2019 წელს ტრენინგში „სტიგმა და დისკრიმინაცია“ პენიტენციურ სისტემაში ჩართული იყო 62 მსჯავრდებული.<sup>[2]</sup>

<sup>[1]</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში, 2018 წელი, გვ.49

<sup>[2]</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში, 2019 წელი, გვ.48

## ამოცანა 4.2.2. პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი და ყოფითი პირობების მორგება ბრალდებულ/მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ

# საჭიროებებზე

ამოცანის შესრულების პროგრესი: 50%

ინდიკატორი: პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი და ყოფითი პირობები მორგებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ საჭიროებებზე

შეფასება:

აღნიშნული ამოცანით დაგეგმილი საქმიანობები შეეხებოდა პენიტენციურ სისტემაში მოთავსებული ქალებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესებას. არცერთი ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი პროგრესი არ დაფიქსირებულა.

## აქტივობა 4.2.2.1. პენიტენციურ სისტემაში მყოფი ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების სპეციფიკური საჭიროებების შეფასება და გამოვლენა

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი და ყოფითი პირობები მორგებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ საჭიროებებზე

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია აქტივობის შესრულების პროგრესი: 70%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

2018 წელს სახალხო დამცველის აპარატისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებულ სპეციალურ ანგარიშში „ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში“ საუბარია მთელ რიგ პრობლემებზე, რომლებსაც N5 დაწესებულებაში განთავსებული ქალი მსჯავრდებულები აწყდებიან.<sup>[1]</sup>

უპირველეს ყოვლისა, კვლავ პრობლემად რჩება ქალი პატიმრების შემოწმების საკითხი, კერძოდ კი დაწესებულებაში მიღებისას და დაწესებულების დატოვებისას კვლავ ხდება ქალი პატიმრების მიმართ სრული პირადი შემოწმების გამოყენება გაშიშვლების გზით, რა დროსაც მათ სთხოვენ ბუქნების გაკეთებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს მენსტრუალური ციკლი. აღნიშნულის გამო პატიმრები უარს აცხადებდნენ დაწესებულების გარეთ სამედიცინო მომსახურების მიღებასა და სასამართლო პროცესზე გაყვანაზე.<sup>[2]</sup>

იმავე ანგარიშის მიხედვით, პრობლემურია, ასევე, გაშიშვლების მეთოდი. კერძოდ, გაშიშვლებისას ქალ პატიმრებს სთხოვენ ტანსაცმლის ერთბაშად და არა ნაწილ-ნაწილ

გახდას, რაც ეწინააღმდეგება ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებს<sup>[3]</sup>.

იქვე აღნიშნულია, რომ სკანერით შემოწმება, მიუხედავად N5 დაწესებულების დებულებაში არსებული ჩანაწერისა, გამოიყენება გაშიშვლებასთან ერთად და არა, როგორც შემოწმების ალტერნატიული მეთოდი<sup>[4]</sup>.

სპეციალურ ანგარიშში ასევე საუბარია მთელ რიგ საყოფაცხოვრებო პრობლემებზე, რომლებსაც ქალი პატიმრები აწყდებიან N5 დაწესებულებაში: ცხელი წყლის არარსებობა, ვენტილაციის პრობლემები, სავარჯიშო სივრცის ნაკლებობა ზოგიერთ კორპუსში და ა.შ.<sup>[5]</sup>

პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, პრობლემურია იმ ქალთა მდგომარეობა, რომლებიც N2 დაწესებულებაში არიან განთავსებულნი, ვინაიდან აღნიშნულ დაწესებულებაში მათ ხელი არ მიუწვდებათ სპეციფიკურ სერვისებზე.<sup>[6]</sup>

ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით „2019 წელს ქალთა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში დაინერგა შეფასების ინსტრუმენტი - „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პირველადი სკრინინგი“, რომელიც ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელთან თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა. შეფასების პროცესის თანახმად მიღებული შედეგები ქულობრივია და სპეციალური კრიტერიუმების მეშვეობით ხდება ბენეფიციარის გადამისამართება შესაბამის მომსახურებაში.“<sup>[7]</sup>

---

<sup>[1]</sup> საქართველოს სახალხო დამცველის და “ადამიანის უფლებათა ცენტრის” ერთობლივი სპეციალური ანგარიში “ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში”, 2018 წელი

<sup>[2]</sup> Ibid., გვ. 23

<sup>[3]</sup> წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში ჩეხეთის მთავრობას ჩეხეთში 2014 წლის 1-10 აპრილის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 31 მარტი 2015 წელი

<sup>[4]</sup> საქართველოს სახალხო დამცველის და “ადამიანის უფლებათა ცენტრის” ერთობლივი სპეციალური ანგარიში “ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში”, 2018 წელი, გვ. 24

<sup>[5]</sup> საქართველოს სახალხო დამცველის და “ადამიანის უფლებათა ცენტრის” ერთობლივი სპეციალური ანგარიში “ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში”, 2018 წელი, გვ. 26- 28

<sup>[6]</sup> საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, 2019 წელი, გვ. 50

<sup>[7]</sup> ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიში გვ. 49

## აქტივობა 4.2.2.2. შშმ პირების საჭიროების გათვალისწინებით

# კომპაქტურად განთავსების ადგილებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასტელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი და ყოფითი პირობები მორგებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ საჭიროებებზე

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 30%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული საქმიანობის შესასრულებლად განხორციელებულ ღონისძიებებზე სამინისტროს ინფორმაცია არ მოუწოდებია. სპეციალური პენიტენციური სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, N12 დაწესებულებაში არის შშმ პირების საჭიროებებზე ადაპტირებული ორი ოთხკაციანი საკანი.

იმავე წყაროდან ცნობილია, რომ არასაანგარიშო პერიოდში, 2019 წლის სექტემბერში, იუსტიციის მინისტრმა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ესკორტირების ავტომატანები გადასცა, რომელთაგან ერთი შშმ პირებზეა ადაპტირებული.<sup>[1]</sup>

ადამიანის უფლებათა სამდივნოს 2018 წლის ანგარიშის თანახმად, „N18 სამკურნალო დაწესებულებაში მოეწყო შშმ პირთა ადაპტირებული პანდუსი და საშხაპე ოთახები; N6 პენიტენციურ დაწესებულებაში გარემონტდა შშმ პირთა საკანი.“<sup>[2]</sup>

ადამიანის უფლებათა სამდივნოს 2019 წლის ანგარიშის თანახმად, „2019 წელს N2 პენიტენციურ დაწესებულებაში დასრულდა ხანმოკლე პაემნებისთვის განკუთვნილი 14 ოთახის კაპიტალური რემონტი და განხორციელდა სივრცეების ადაპტირება შშმ პირთათვის და მოეწყო შესაბამისი პანდუსები, ასევე N14 პენიტენციურ დაწესებულებაში დამონტაჟდა ორი ლიფტი შშმ პირთათვის.“<sup>[3]</sup>

<sup>[1]</sup> <http://sps.gov.ge/ka/media/akhali-ambebi/article/23395-thea-tsulukianma-eskortirebisa-da-specialur-gho-nisdziebatha-mthavar-sammarthvelos-akhali-specializebuli-avtomanqanebi-gadasca.html>

<sup>[2]</sup> ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2018 წლის ანგარიში გვ. 49-50

<sup>[3]</sup> ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიში გვ. 49

## ამოცანა 4.2.3. შშმ პირებისთვის სათანადო მომსახურების უზრუნველყოფა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 0%

ინდიკატორი: შშმ პირებზე ადაპტირებული ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამების რაოდენობა

მოთხოვნის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილე შშმ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რაოდენობა

შეფასება:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები პენიტენციური სისტემის შიგნით ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენს. მიუხედავად მათი მდგომარეობის სიმძიმისა, წლების მანძილზე, პრობლემის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა. სისტემა არ აწარმოებს შშმ პირების სტატისტიკას, შესაძლებლობის შეზღუდვის სახეებისა და მათთან დაკავშირებული პრობლემებისა და საჭიროებების შესწავლას. შშმ პირებზე ზრუნვა, წლების მანძილზე, შემოიფარგლება ზოგიერთ დაწესებულებაში პანდუსების დამონტაჟებითა და თანამშრომლებისთვის სხვადასხვა სახის ტრენინგებით.

### აქტივობა 4.2.3.1. პენიტენციურ დაწესებულებებში დადგენილი წესებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამების დანერგვა

**პასუხისმგებელი უწყება:**

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

**ინდიკატორი:**

შშმ პირებზე ადაპტირებული ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამების რაოდენობა

მოთხოვნის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილე შშმ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რაოდენობა

**სტატუსი:** არ არის შესრულებული

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 0%

**დაწყების თარიღი:** 2018-01-01

**ბოლო ვადა:** 2020-12-31

**შეფასება**

შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამების თაობაზე არაფერია ნათქვამი სახალხო დამცველისა თუ ევროსაბჭოს წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის ანგარიშებში. თავად სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2018 წლის სისტემის სტატისტიკის ანგარიშებშიც შშმ პირების შესახებ არანაირი სახის



მონაცემები არ ფიგურირებს.